# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

## ბრძანება №855

თბილისი „29“ 09 20 წ

**„2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმისა და დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 23 აგვისტოს N744 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2017 წლის 27 სექტემბრის N1159000 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმისა და დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 23 აგვისტოს N744 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული (დანართი N2) „2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხის“ პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მაგისტრანტებმა, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, ასევე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში

2017 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

1.1. განცხადება;

1.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

1.3. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;

1.4. დაბადების მოწმობის ასლი;

1.5. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულის, ან 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულის შვილი ან ცნობა მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ;

1.6. მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლი/ასლები.".

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

ალექსანდრე ჯეჯელავა